# ახალგაზრდა ივერიელი

[illegible] 1921 წლიდან

24 აგვისტო შაბათი 1991 № 97-98 (11730—31)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 20 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვივა,

ჯერ ნოსტრადამუსს გაგაცნობთ, უფრო სწორად, გაგახსენებთ, რადგან ლეგენდარული წინასწარმეტყველის მიშელ ნოსტრადამუსის სახელმა, რომელიც იდუმალის სამოსითაა შემოსილი, ბევრს დაუკარგა მოსვენება.

ნოსტრადამუსი 1503-1566 წლებში ცხოვრობდა. იგი ყველა დროის უდიდესი წინასწარმეტყველი და ექიმი იყო. მისი წინასწარმეტყველური თხზულებანი, როგორც სპეციალისტები თვლიან, მოიცავს პერიოდს 1555-დან 3797 წლამდე...

„მე შემეძლო დამეწერა ზუსტი თარიღები, მიმეთითებინა მომავალში მოსახდენი მოვლენის მოქმედების დრო და ადგილი, მაგრამ ეს, ალბათ, ყველას არ მოეწონებოდა" წერდა ნოსტრადამუსი

## ნოსტრადამუს!

და თავის ნაწერებში, ოთხსტრიქონიან პოეტურ კუპლეტებში ზოგადად მიუთითებდა მოსალოდნელი შემთხვევის, ფაქტის უმთავრეს ნიშნებს.

ნოსტრადამუსს თავისი საოცარი უნარის გამო, არაერთი უსიამოვნება შეხვდა. მერე, სიცოცხლის მიწურულს (სხვათა შორის, თავისი სიკვდილის დღე და საათი მან ზედმიწევნით ზუსტად გამოიცნო) მოვიდა დიდი აღიარება.

1566 წლიდან მოყოლებული დღემდე მისი შემოქმედების მკვლევართა და დამფასებელთა რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირში ნოსტრადამუსის თხზულებანი, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ ბოლო ხანებში გავრცელდა.

საუბარი რომ არ გამიგრძელდეს, ჩამოვთვლი ზოგიერთ იმ დიდ მოვლენას, რომელიც ნოსტრადამუსმა წინასწარ განჭვრიტა და მიუთითა თავის ცენტურიებსა თუ სხვა შრომებში.

## ვავა,

ესენია — გრიგორიანული კალენდრის შემოღება — 1582 წელი, ავსტრალიის აღმოჩენა — 1642 წელი, რევოლუცია საფრანგეთში — 1789 წელი, ნაპოლეონის დამარცხება — 1812 წელი, პირველი მსოფლიო ომი — 1914 წელი, ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში — 1917 წელი, მეორე მსოფლიო ომი — 1939 წელი და სხვა.

ყველაზე მთავარი წინასწარმეტყველება, რომელიც ჩვენს თანამედროვეთა უდიდეს ინტერესს იწვევს, ესაა ოქტომბრის რევოლუციაზე.

ნოსტრადამუსი თავის მეშვიდე „ცენტურიაში", რომელიც მან 1557 წლის 27 ივნისს ჰენრიხ მეორეს გაუგზავნა, წერს: „ოქტომბერში იფეთქებს დიდი რევოლუცია, რომელსაც ბევრი დღემდე მომხდართაგან ყველაზე საზარელ რევოლუციად ჩათვლის. ცხოვრება დედამიწის ზურგზე შეწყვეტს თავისუფლად განვითარებას და ჩაეფლობა დიდ ჭაობში. ხოლო გაზაფხულსა და მის შემდგომ მოხდება უდიდესი ცვლილებები, სახელმწიფოთა დაცემები

## კომუნისტებო!

და მიწისძვრები, და ყველაფერი ეს დაუკავშირდება ახალი ბაბილონის წარმოქმნას — შემზარავ პროსტიტუციას, საშინელ სულიერ სიცარიელეს და ეს გაგრძელდება 73 წელი და 7 თვე".

ნოსტრადამუსის მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო 1991 წლის ზაფხულში!!!

ყველაფერი ეს უკვე მოხდა, ყველაფერი ეს უკვე რეალობაა, მაგრამ უფრო საინტერესო ის არის, რომ შესრულდა ნოსტრადამუსის საოცარი წინასწარმეტყველების სხვა ნაწილიც, კერძოდ, იგი იქვე, იმავე ცენტურიაში წერდა, რომ შემდეგ ამისა მოვა „სამხედრო ხელი", მაგრამ „ხალხი" რომელსაც უკვე აღარ შეეძლება მეტი ტყუილისა და სისაძაგლის მოთმენა მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერ შესაძლებელს გააკეთებს...

ღვთის წყალობით, ესეც მოხდა!!!.

ხალხმა გაიმარჯვა, დემოკრატიულმა ძალებმა

## ინფორმაცია ინფორმაცია



## ეს დღეები მოსკოვში

## ანუ

## სახელმწიფო გადატრიალებიდან — სახალხო გადმოტრიალებამდე

### მოვლენათა ზოგადი ქრონიკა

ეს დღეები მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა შეშფოთებით ადევნებდა თვალს მოსკოვში მიმდინარე მოვლენებს. როგორც იცით, თვითმარქვია საგანგებო კომიტეტმა თვითნებურად აიღო ხელში ძალაუფლება და გამოაცხადა საგანგებო რეჟიმი.

ეს იყო სახელმწიფო გადატრი-

(დასასრული მე-2 გვ.).

### საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა გაიმართება 1991 წლის 26 აგვისტოს 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 8 საათსა და 30 წუთიდან.

საქინფორმი

## სარედაქციო განცხადება

ჩვენი გაზეთის 20 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ „ქრონიკაში" დაიბეჭდა არასწორი ინფორმაცია — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ **მურმან ომანიძის** შესახებ.

რედაქციამ გაზეთ „თბილისის" დახმარებით იმავე დღეს გაასწორა ეს შეცდომა. ამჯერად ჩვენც ვასწორებთ მას და გულწრფელად ბოდიშს ვუხდით ბატონ მურმანს.

## ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნენ:

**ბესარიონ გუგუშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად;

**ბაკურ გულუა** — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ;

**გულბაარზ ქურასბედიანი** — ლენტეხის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად;

**ვალერი იზორია** — ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით განთავისუფლდა:**

**ნოდარ ლიპარტელიანი** — ლენტეხის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან პირადი განცხადების საფუძველზე.

## ვივა,

შეძლეს მონაპოვრის დაცვა, სიმართლე ტანკების მუხლუხოებით ვერ გაისრისა...

და ყველაფერი ეს სამი საუკუნის წინათ იწინასწარმეტყველა სულგანათლებულმა მიშელ ნოსტრადამუსმა.

მისი თხზულებების არსებობა კომუნისტებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, მაგრამ რა?...

მათ კიდევ ერთხელ მოინდომეს ხალხის გაბიაბრუება, გამასხარავება, მაგრამ, როგორც იტყვიან, მათ ეს „ნომერი არ გაუვიდათ".

და მაშინ, როცა დემოკრატიულ ძალთა აღშფოთება პროგრესულ სამყაროში ერთსულოვანი იყო, როცა ყველა კიცხავდა და რუსეთში მიმდინარე მოვლენებს შეშფოთებით იყო მიყურადებული, როცა თავად

## ნოსტრადამუს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ორჭოფულ დუმილს არჩევდა, საქართველოს ე. წ. „დამოუკიდებელი კომპარტია" ხმის ალტაცებამ შეიპყრო, საოცარი სიხარულით ბოლომდე მოიხსნა ფსევდოეროვნულობის ნიღაბი და ისევ თავისი ხალხის, „მშობლიური" ქართველი ერის, ღალატის გზას დაადგა.

შესაშური ოპერატიულობით ჩაატარეს მათ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა და მეორე დღესვე თავიანთ გაზეთ „ცხოვრებაში" მოსალოდნელ დიქტატურას ტაში-ტუშით დაუწყეს ლოდინი.

მადლობა ღმერთს, რომ როგორც ითქვა, სამშობლოს ღალატში დაოსტატებულ ქართველ კომუნისტთა მეთაური ჯგუფის (მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ყველა ასე ფიქრობდა) იმედს, სამხედრო დიქტატურას, ხუნტის საბჭოურ

## ვავა,

მოდელს განხორციელება არ ეწერა.

და თუ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მათ მიმართ ქრისტიანული პოზიცია დაიკავა, ახლა დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. დროა, ბოლომდე გაცხადდეს საქართველოს კომპარტიის დანაშაულებრივი ქმედებანი, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს ვის მიმართ გამოიჩინა შემწყნარებლობა და რამდენად სანდონი ყოფილან ისინი?

მართალია, ნოსტრადამუსი ერთგან მიუთითებს, რომ კომუნიზმის, ბოლშევიზმის აჩრდილი პირისაგან მიწისა მხოლოდ 21-ე საუკუნის პირველ წლებში აღიგვება, მაგრამ საქართველოში ეს, ალბათ, მანამდე უნდა მოხდეს. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენზე წინ ეს პროცესი რუსეთში დაიწყოს და მისი ინციატორი, „მკვდრეთით აღმდგარი" საბჭოთა პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი გამოდგეს.

ალბათ, გაზეთ „ცხოვრებაზეც" უნდა ითქვას

## კომუნისტებო!

ორიოდე სიტყვა. მიუხედავად ჩემი და საერთოდ ქართველ ჟურნალისტთა კორპუსის პიროვნული პატივისცემისა მისი რედაქტორის ბატონ ოთარ იოსელიანისადმი, ეს გაზეთი არამც და არამც არ უწყობს ხელს თავისი პუბლიკაციებით გამოღვიძებული ეროვნული ენერგიის, ქართული სულის გაძლიერებას. გაზეთის ჩასაფრებული პოზიცია ძალიან კარგად გამოჩნდა ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში. საკითხავია, როდემდე შეიძლება ვდუმდეთ ჩვენ, ჟურნალისტები, და საერთოდ, ჟურნალისტთა კავშირი ამ უსინდისობაზე?

გაზეთ „ცხოვრების" და მისი იდეოლოგიური კურატორის ქმედება ქართველი ხალხის, მისი ხელისუფლების საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

და ბოლოს, როგორც იტყვიან —

ვივა, ნოსტრადამუს!!.

ვავა, კომუნისტებო!?

**ბიგლა გობეჩია**

# ეს დღეები მოსკოვში

(დასასრული)

ალება, რომელიც სსრკ-სათვის უცხო არ ყოფილა. კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამას შეიძლებოდა გაუგონარი სისხლისღვრა მოჰყოლოდა. ჩვენი რესპუბლიკისათვის მდგომარეობის მსვლელობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. თუ საბჭოთა ხუნტა გაიმარჯვებდა, დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ რესპუბლიკებს ძალიან გაუჭირდებოდათ მონაპოვრის შენარჩუნება. მოკლედ, საფრთხე აშკარა იყო.

საქართველოს ხელისუფლებამ მითითებული პოზიცია დაიკავა. გაატარა გარკვეული ღონისძიებები და მოუწოდა დასავლეთის მთავრობებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ აღიარონ თავისუფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან.

19 აგვისტოს ე. წ. „ГКЧП" მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სცადეს მომხდარის თავისებური გამართლება, მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ მათი განზრახვა სამხედრო და სახელმწიფო გადატრიალების გზით ძალაუფლების ხელში აღებისა თეთრი ძაფით იყო ნაკერი. დემოკრატიულ ძალებს ეჭვი არ შეპარვიათ, რომ ამ უინტელექტო ოქტეტს არაფრით არ შეეძლო თავიანთი ამაზრზენი განზრახვა ბოლომდე მიეყვანა. მტკიცე პოზიცია დაიკავა რსფსრ პარლამენტმა, პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, ლენინგრადისა და მოსკოვის მერიებმა. სსრკ-ს რიგ რეგიონებში. ხოლო ლატვიის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კომპარტიებს კი სისხლი მოსწყურდათ და სიხარულით შეხვდნენ შეთქმულ ხუნტისტთა განზრახვას.

მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის რიგ ქალაქებში დაიწყო სახალხო მღელვარება, ბარიკადების აგება ცოცხალი ხელით — საკუთარი მკერდით ხალხის ნებით არჩეული რსფსრ პარლამენტის დაცვა. დემოკრატია შიშველი ხელებით წინ აღუდგა ხუნტისტებს. იგრძნეს რა, რომ შეთქმულებს დიდი სისხლისღვრის გარეშე გაუჭირდებოდათ თავიანთი ავანტიურის განხორციელება, ისინი დაიბნენ. ეს დრო კარგად გამოიყენეს დემოკრატიულმა ძალებმა, ელცინის პიროვნების სიძლიერემ, გამჭრიახობამ განხეთქილება შეიტანა სამხედროთა რიგებში, არმია ორად გაიყო, დიდი ნაწილი გადავიდა დემოკრატთა მხარეს, მათ მხარს უჭერდა მთელი პროგრესული სახელმწიფოები. საზოგადოებრიობისათვის უცნობი იყო სსრკ პრეზიდენტის ბედი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამი დღე მასთან არავითარი კავშირი არ იყო. რუსეთის პარლამენტმა, საგანგებო სესიამ ამ დღეებში გამოსცა მთელი რიგი ბრძანებები, რითაც მთლიანად გააცამტვერა შეთქმულთა დადგენილებები, მოახერხა კავშირის დამყარება საკავშირო პრეზიდენტთან. გაირკვა ბევრი რამ. სამხედროებმა 21 აგვისტოს დაიწყეს კომენდანტის საათის გაუქმება, ჯარების გაყვანა მუდმივი დისლოკაციის ადგილისაკენ. პუტჩისტები — საბოლოოდ დაბნეულნი შეეცადნენ გორბაჩოვთან შეხვედრას, მაგრამ ამაოდ. მალე ისინი სათითაოდ დააპატიმრეს. გარდა პრემიერ-მინისტრის პავლოვისა, რომელიც ავად გახდა და შინაგან საქმეთა მინისტრ პუგოსი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამასობაში ფართო საზოგადოებრიობამ გაიგო პრეზიდენტ გორბაჩოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა. აღსდგა სამთავრობო კავშირი მასთან, გაკეთდა ორგანიზაცია მისი მოსკოვში უხიფათოდ ჩამოსაყვანად. 21 აგვისტოს გვიან ღამით გორბაჩოვი მოსკოვში ჩამოიყვანეს. აეროპორტში პირველსავე ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ყველაფერს იტყოდა უახლოეს პრესკონფერენციაზე. და აი, ხუთშაბათს, 22 აგვისტოს გორბაჩოვმა ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე დაუფარავად ილაპარაკა იმ დღეებზე, იმ მოვლენებზე, რაც დატრიალდა მის გარშემო ბოლო 72 საათის განმავლობაში.

ვფიქრობთ, ბევრმა ეს პრესკონფერენცია უკვე ნახა, ალბათ, მაგრამ მაინც საინტერესო იქნება თვით მიხეილ გორბაჩოვის ნაამბობი, გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს:

„...დღევანდელი პრესკონფერენცია ტარდება იმ დღეების შემდეგ, რომლებიც მინდა, რომ არასოდეს არ განმეორდეს. ჩვენ ყველამ გავიარეთ რთული დღეები 1985 წლის შემდეგ, ჩვენ შევეჯახეთ რეაქციული ძალების მიერ ორგანიზებულ ნამდვილ არაკონსტიტუციურ გადატრიალებას.

5 საათს რომ 10 წუთი უკლდა, ჩემთან მოვიდა დაცვის უფროსი და მომახსენა, რომ ჩემს სანახავად მოვიდა რამდენიმე პიროვნება. მე განვაცხადე, რომ არავის ველოდები და არც არავის მიღებას ვაპირებ...

გადავწყვიტე გამერკვია მათი ვინაობა, ავიღე ყურმილი. ჩემი ყველა ტელეფონი გათიშული იყო... სრულ იზოლაციაში აღმოვჩნდი...

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. შექმნილი მდგომარეობა ავუხსენი ჩემი ოჯახის წევრებს და ფაქტიურად ყველაფრისთვის მზად ვიყავი.

ჩემი პოზიცია გარკვეული იყო: არანაირ შანტაჟს, არანაირ ძალადობას და დაწოლას არ დავემორჩილებოდი.

მე შევეკითხე ჩემს „სტუმრებს" — ვინ გამოგზავნათ-მეთქი. საგანგებო მდგომარეობის კომიტეტმა — მიპასუხეს.

მე ვუთხარი, რომ ისინი ავანტიურისტები არიან, და რომ თავთან ერთად ქვეყანასაც დაღუპავენ. მათ მოითხოვეს ჩემი გადადგომა...

პასუხად სასტიკი უარი მიიღეს... ამის შემდეგ მოვლენები ლოგიკურად განვითარდა.

ჩემი ოჯახი 72 საათი სრულ იზოლაციაში მოაქციეს. მიცავდა 33 ადამიანი...

მე ყოველდღე ვითხოვდი ერთი და იგივეს: აღედგინათ სატელეფონო კავშირი, ვითხოვდი დაუყოვნებლივ გამგზავრებას მოსკოვში...

პრესკონფერენციაზე გავიგე ჩემი მძიმე ავადმყოფობის შესახებ... „ჯანმრთელი" ადამიანები კი, რომელთაც ხელები უკანკალებდათ, ჩემს ავადმყოფობაზე საუბრობდნენ...

ყველაზე კარგად ვიჭერდით რადიოარხ „თავისუფლებას", „ბი-ბი-სის" და „ამერიკის ხმას". კამერაზე ჩავიწერე ჩემი გამოსვლა...

ექიმმა დაწერა საექიმო დასკვნა...

დიქტატურა დამარცხდა...

დამარცხდა იმიტომ, რომ არმიამ ხალხთან საერთო ენა გამონახა.

რესპუბლიკებმა ნეგატიური პოზიცია გამოხატეს, პრინციპული იყო რუსეთის პარლამენტის პოზიცია...

ფასდაუდებელია რუსეთის პრეზიდენტის, ბორის ელცინის როლი...

ჩემი დაჟინებული მოთხოვნით სატელეფონო კავშირი აღსდგა...

...მე გავეცი განკარგულება კრემლში არ შეეშვათ არავინ, ვინც კომენდანტს ემორჩილებოდა..."

## ჩვენი ინტერვიუ

**კახა ლომაია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი:**

როგორც ახლა ყველამ იცის, ყველაზე დრამატული დღე მოსკოვში 20-21 აგვისტოს ღამე იყო. ამ დროს მოსკოვში ინფორმაციის მთავარი წყარო რადიოსადგური „ეხო მოსკვი" გახლდათ, მათ ჰყავდათ კორესპონდენტი თეთრ სახლში და ინფორმაციებიც, ასე ვთქვათ, მოვლენების ცენტრიდან გადმოიცემოდა.

22 საათსა და 50 წუთზე რადიოსადგური „ეხო მოსკვი" გამოირთო და მთელი ქალაქი ახალი ინფორმაციის გარეშე დარჩა.

დაახლოებით 12 საათზე გაისმა პირველი სროლა. ისროდნენ ავტომატებიდან, სხვადასხვა იარაღებიდან. სროლის ხმა მოდიოდა ყოფილი კალინინის პროსპექტის მხრიდან. ამ დროს ჩვენ დავუკავშირდით პარლამენტს, საიდანაც შეგვატყობინეს, რომ ეს სროლის ხმა პარლამენტის ასაღებად გამიზნული შტურმის დასაწყისი იყო.

ჩვენ დავრეკეთ ამერიკის საელჩოში, გვითხრეს, რომ დაინახეს სამი მოკლული და ათამდე დაჭრილი. პირველის ნახევარზე რადიოსადგური „ეხო მოსკვი" კვლავ ამუშავდა. გადმოსცეს, თითქოს ე. წ. ტამანის დივიზიის რამდენიმე ტანკი მიდიოდა ვნუკოვოს მიმართულებით; კუტუზოვის პროსპექტით თეთრი სახლისკენ, მიდიოდა ოცამდე ტანკი და უფრო მეტი ჯავშანტრანსპორტიორი. **„ეხო მოსკვით" გადაიცა ვიცე-პრეზიდენტ რუცკოის გამოსვლა, რომელმაც მოუწოდა ხალხს გონიერებისაკენ.**

ორის თხუთმეტ წუთზე დავუკავშირდით ლატვიის წარმომადგენლობას. შევიტყვეთ, რომ ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის გენერალ კუზმინის ბრძანებით აიღეს ლატვიის ტელე და რადიოსადგურები, კავშირგაბმულობა, ემუქრებოდნენ მთავრობის შენობას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველ საათსა და რვა წუთზე თეთრ სახლში გამოირთო ელექტროენერგია, თუმცა 15 წუთის შემდეგ კვლავ ჩაირთო.

თორმეტიდან პირველ საათამდე ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თეთრ სახლს აიღებდნენ. ამ დროს პირადად მე დავრეკე რადიოსადგურ „ეხო მოსკვი"-ში. მე მივმართე საქართველოდან გაწვეულ ჯარისკაცებს (რა თქმა უნდა, თუ ისინი იქნებოდნენ შტურმის მონაწილეთა შორის), რომ არ გამოეყენებინათ იარაღი. ჩემი მიმართვა გადაიცა რადიოთი.

ოთხ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე დავრეკეთ ესტონეთის წარმომადგენლობაში. გვითხრეს, რომ დაწყებულია ტალინის ტელეცენტრის შტურმი.

თეთრი სახლის ტერიტორიაზე უკვე აღარ ისმოდა სროლის ხმა, თუმცა ამას ვერ ვიტყვი ქალაქის სხვა რაიონების შესახებ.

დაახლოებით ხუთ საათზე „ეხო მოსკვით" გადაიცა თეთრი სახლის თავდაცვის შტაბის განცხადება და ითხოვდეს შეეცვალათ თეთრი სახლის დამცველები.

ხუთ საათსა და ორმოცდაორ წუთზე ველაპარაკეთ ილიუშინს, ელცინის თანაშემწეს. მან გვითხრა, რომ თითქოს ყველაფერი დაწყნარდა, მაგრამ დიდძალი სამხედრო ტექნიკის გადაადგილება კი ჩანდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როგორც მოგეხსენებათ, გამოცხადებული იყო კომენდანტის საათი. **კომენდანტის საათის დროს თითქმის მთელი მოსკოვი ქუჩებში გამოვიდა, რითაც დიქტატორებს არ მისცეს საშუალება ჩანაფიქრის განსახორციელებლად.**

●

22 აგვისტოს, საღამოს, დაახლოებით თერთმეტ საათზე, მძლავრი ამწეებით აიღეს საბჭოთა ჩეკისტის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის ძეგლი.

**ტელეფონით ჩაიწერა**
**გესო ჰინჭარაულმა.**

# წერილი რედაქციას

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, როგორც არაპოლიტიკური ორგანიზაცია, გადაჭრით გმობს გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ბიუროს მასალებს საკავშირო „საგანგებო კომიტეტის" მხარდაჭერის შესახებ.

საქართველოს ახალგაზრდულ კავშირს მიაჩნია, რომ ქართველი კაცისათვის შეუფერებელი ეს სამარცხვინო და პროვოკაციული გადაწყვეტილებაა, მათი ინიციატორების სრული პოლიტიკური უსუსურობისა და უმეცრების ქრესტომათიული მაგალითია.

მოვუწოდებთ ჩვენი ორგანიზაციის თითოეულ წევრს, კონკრეტული ნაბიჯებით დაგმოს და პროტესტი გამოთქვას აღნიშნული გადაწყვეტილების მიმართ.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სათათბირო.**

# ღია წერილი

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს

ამ სტრიქონების ავტორს ვერავინ დასწამებს სხვისი აზრის შეუწყნარებლობას და არადემოკრატიულობას. როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჩემს პუბლიკაციებსა და ეროვნული კონგრესის სახელით მიღებულ დადგენილებებში, ყოველთვის ვცდილობდი ხელი შემეწყო ეროვნული ერთიანობისათვის, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ძალის ჩართვისათვის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რადგან ვთვლიდი, რომ სამშობლო ყველა ქართველისათვის ერთნაირად უზენაესია და მისი სიყვარულის პრეროგატივა არავის არა აქვს; ვიყავი ერთ-ერთი პრინციპული მომხრე, რომ ქართველ კომუნისტებს მიეღოთ ეროვნულ კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა. ამას ვაკეთებდი იმის გამო, რომ კარგად მესმოდა — საჭირო იყო გარკვეული დრო ღირებულებათა გადასაფასებლად, ისტორიული სინამდვილის გასაცნობიერებლად, ახალი პოზიციის შესამუშავებლად.

ვერც ახალი ხელისუფლების აპოლოგეტობას დამწამებს ვინმე. პირიქით, შესაძლოა, სხვებზე მეტადაც მიწერია კრიტიკული წერილები, მაგრამ ამ დროს საქართველოს ინტერესები არ დამვიწყებია.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ქართველი საზოგადოებისათვის გასაგები იყოს — თქვენი მოქმედების შეფასებისას არავითარი სუბიექტური მოტივები არ მამოძრავებს:

დადგენილება, რომელიც მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომ მას „დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება", არის ეროვნული ღალატის ისეთი აქტი, რომლის მსგავსი ძალზე ცოტაა ჩვენს მრავალტანჯულ ისტორიაში. ამ დადგენილებით თქვენ საბოლოოდ გამოააშკარავეთ თავი, თქვენ მზადა ხართ პირადი კეთილდღეობისა და ძალაუფლების დასაბრუნებლად ნებისმიერი სისაძაგლე ჩაიდინოთ. თქვენ ბრწყინვალად ისარგებლეთ იმით, რომ არ მოგეთხოვათ პასუხი 70 წლის მანძილზე კომპარტიის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის და დაადასტურეთ, რომ თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, დღესაც მზად ხართ იგივე ჩაიდინოთ. არავითარი იდეალები, მათ შორის კომუნისტურიც, თქვენ არ გამოძრავებთ და, საერთოდ, გასარკვევია, თუ ვის წარმოადგენთ, რადგან, დარწმუნებული ვარ, კომპარტიაში დარჩენილი ჩვენი თანამემამულეების უდიდესი უმრავლესობა არ იზიარებს თქვენს უკიდურესად რეაქციულ პოზიციას.

არავინ იცის, ხვალ რა მოხდება საქართველოშიც. თქვენს მიერ მიღებული დადგენილება არის ნიადაგის შემზადება, რომ უცხო, ბნელმა ძალებმა თქვენზე დაყრდნობით გაამართლონ ხელახალი ინტერვენცია და ერის კვლავ დამონება. თქვენს დადგენილებაში რევანშის წყურვილი გამოსჭვივის და ჩანს, რომ არც ახალ 37-ს დაერიდებით. ხვალ შეიძლება, კვლავ ტოტალიტარიზმის წყვდიადი ჩამოწვეს და დიდხანს, დიდხანს, ვერავინ გითხრათ სიმართლე.

ამიტომ, დღეს, მიუხედავად ხვალინდელი დღის გაურკვევლობისა და საშიშროებისა, მინდა, პირდაპირ მოგახალოთ, რომ თქვენ ხართ გადაგვარებული ნაძირალები და საფრთხეს უქმნით ერის მომავალს. ამიტომ როგორი ჰუმანისტებიც და დემოკრატებიც არ უნდა ვიყოთ, უცხო ქვეყნის პოლიტიკურმა აგენტურამ პასუხი უნდა აგოს ერის სამსჯავროს წინაშე.

**თემურ ფიფია,**
**საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი**

## პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლების"

# განცხადება

საქართველოს კომპარტიის ორგანო „ცხოვრება"-ში დაიბეჭდა „ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შესახებ", რომლის გამოც ბლოკ „თავისუფლებას" საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქართველოს კომპარტიის ამ დოკუმენტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც პოლიტიკურ აქტს, რომელიც სხვა არანაირად არ შეიძლება შეფასდეს, თუ არა:

1. როგორც დეკლარაცია პოლიტიკური თანამშრომლობისა უცხო სახელმწიფოსთან მისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად საქართველოში და, მაშასადამე

2. როგორც პირდაპირი ხელყოფა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა დეკლარირებულის 1991 წლის 9 აპრილის საპარლამენტო აქტითა და რესპუბლიკის კონსტიტუციით;

**3. როგორც პოლიტიკურ-ორგანიზაციული მზადყოფნა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისათვის, სსრკ-ის საიმპერიო სამხედრო ძალის დახმარებით რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობისათვის.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კომპარტია წარმოადგენს უცხო სახელმწიფოს ორგანიზაციულად გაფორმებულ აგენტურას, მის „მეხუთე კოლონას", პოლიტიკური პარტიის სახელით მოქმედს. ამგვარად, საქართველოს კომპარტიის სახით ჩვენ საქმე გვაქვს კრიმინალურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, რომლის არსებობაც ანტიკონსტიტუციურია და რომელიც, ამდენად, უნდა გამოცხადდეს კანონგარეშედ.

მივმართავთ საქართველოს უზენაეს საბჭოს, თავის უახლოეს სხდომაზე განიხილოს საკითხი, თუ რამდენად კონსტიტუციურია არსებობა ამ პარტიისა და, კერძოდ, რამდენად კანონიერია მისი წარმომადგენლობა რესპუბლიკის პარლამენტში.

**და ბოლოს, ბლოკი „თავისუფლება" შემოდის წინადადებით, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით.**

**თბილისი**
**21 აგვისტო 1991 წელი**

# დღევანდელ ნომერში

## მოსკოვი, კრემლი, ელცინს

გილოცავთ გამარჯვებას. თქვენი სიმამაცით და შორსმჭვრეტელობით თქვენ იხსენით რუსეთიც და საქართველოც. საქართველო, რესპუბლიკის პრეზიდენტი სავსებით გიჭერდათ მხარს. გამოიკვეთა, ვინ არის ერთგული მეგობარი და ვინ — იუდა. აფხაზეთის და ე. წ. ოსეთის ხელისუფალთ, არძინბამ და ჩეხოევმა დაუყოვნებლივ გამოუცხადეს მონური ერთგულება ხუნტას.

გთხოვთ, მათი ვერაგობა გააცნოთ პარლამენტს, რუსეთის ხალხს. მიიღოთ მხედველობაში და ცნოთ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

**აკაკი ბელიაშვილი**
**მწერალი**

**23.VIII. 1991 წ.**

**მინაწერი:** დეპეშა ითარგმნა და გაიგზავნა მოსკოვში.

ფურცელი № 9



# „ფაზისი": ლეგენდის დასაწყისი

გაზეთის სტუმარი

**ბატონმა ჯუმბერ (ჯუკი) ცომაიამ მშობლიურ ფოთში აგებული იახტა „ფაზისით" უითბრედის საერთაშორისო ტრადიციულ რბოლა-შეჯიბრებაში ცურვით შემოუარა დედამიწას, ამასთან ორჯერ გადალახა ატლანტიკის ოკეანე. ამ ცხრათვიან მოგზაურობაში მრავალი ქვეყნის ზღვაოსანი, მათ შორის „ფაზისის" ეკიპაჟის 28 წევრი, ანუ სსრ კავშირის ნაკრები მონაწილეობდა. ხოლო საბოლოო შედეგების მიხედვით თუ განვსჯით, ჩვენი თანამემამულე ფაზისელთა იმ შესანიშნავ სამეულშია, რომელთაც ზემოთქმულ შეჯიბრებაში ყველა, ექვსივე, ეტაპი დაძლიეს. ამასთანავე ის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველია საიალქნო ხელოვნების დარგში მსოფლიო ლიდოსტატის სახელი რომ მოიპოვა. ბატონი ჯუმბერ ცომაია დღეს ჩვენი სტუმარია.**

ფურცელი № 9

**— ბატონო ჯუმბერ, უითბრედის მეხუთე რბოლას — დედამიწის გარშემო თქვენს მოგზაურობას მსოფლიოს უველა თავგადასავლისა თუ ძიების მოტრფიალე ინტერესით ადევნებდა თვალყურს, მაგრამ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ამიტომ იქნებ მკითხველს შევახსენოთ, თუ როგორ დაინათლა ისტორიული სახელი „ფაზისი" ფირმას, მერმე იახტას, რომელიც ამ შეჯიბრებაში 25 იახტას შორის საბოლოო შედეგების მიხედვით მეთერთმეტე, ხოლო დებიუტანტთა შორის პირველი იყო...**

— სიამოვნებით. „ფაზისი" გახლავთ ფირმა, რომელიც დარგთაშორისი გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა. მას ჩვენი ქალაქის — ფოთის და საქართველოს უდიდესი მდინარე რიონის უძველესი სახელი ეწოდა. „ფაზისი" ფოთში შექმნილი საუკეთესო ნაწარმის უცხოეთის ქვეყნებში გატანის, ხოლო იქიდან საქართველოსათვის საჭირო საქონლისა და ვალუტის მოზიდვის კეთილ საქმეს ემსახურება. ამ ვითარებაში; 1988 წლის ზაფხულში ვლადისლავ მურნიკოვის — მოსკოველი დიზაინერ-გემთმშენებლისა და ვიქტორ ტეხოვის — „ფაზისის" გენერალური დირექტორის საქმიანი შეხვედრისას გაერთიანებული ძალებით იახტის აშენების, უითბრედის საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობისა და სპორტული მონაპოვრების კომერციული რეკლამისათვის გამოყენების საინტერესო იდეა დაიბადა. მალე ეს ინფორმაცია ჩემამდე, როგორც ფოთის საიალქნო კლუბის დირექტორამდე მოვიდა. ასე დაიწყო...

**— ბარემ თავიდანვე ითქვას, ვინ, სად და როგორ ააშენა იახტა. და კიდევ, იქნებ მოხაზოთ ის მარშრუტი, სტარტიდან ფინიშამდე „ფაზისმა" რომ გაიარა?**

— ნავს რვა თვეს ვაშენებდით, ფოთის გემთმშენებელ ქარხანაში; მისი წყალწყვა 22 ტონაა, სიგრძე 25,3 მეტრი, სიგანე 6, წყალჯდომა 4 მეტრი. უნდა ითქვას, „ფაზისის" ანალოგი საბჭოთა კავშირში არ არის. ხოლო უითბრედში მისი მარშუტი ასეთია: საუთჰემპტონი (დიდი ბრიტანეთი) — პუენტა-დე-ლესტა (ურუგვაი) — ფრიმანტლი (ავსტრალია) — ოკლენდი (ახალი ზელანდია) — პუენტა-დე-ლესტა (ურუგვაი — ფორტ-ლოდერდიელი (ამერიკის შეერთებული შტატები) —




საუთჰემპტონი (დიდი ბრიტანეთი), ანუ მანძილი სტარტიდან ფინიშამდე შეადგენს 33 ათას საზღვაო მილს. მოგზაურობა დაიწყო 1989 წლის 2 სექტემბერს, დამთავრდა 1990 წლის 25 მაისს.

**— თქვენი მოგზაურობა, გარდა იმისა, რომ სპორტული თვალსაზრისით დიდ წარმატებას განეკუთვნება, ჩვენთვის, საქართველოს რესპუბლიკის თითოეული მოქალაქისათვის იმითაც არის საამაყო, რომ თანამემამულის გონებრივი, ფიზიკური თუ სულიერი შესაძლებლობების მაჩვენებელია. ერთი სიტყვით, იმედს, რწმენას, და რაც მთავარია, მსგავსის ან უფრო მეტის გაკეთების სურვილსაც ბადებს. ამიტომ, იქნებ ორიოდე სიტყვით გვიამბოთ თქვენი ეკიპაჟის შესახებ.**

— სტარტზე ვიყავით თექვსმეტი აფროსანი — თოთხმეტი საბჭოთა და ორი ამერიკელი ალექსეი გრიშჩენკოს და სკიპ ნოვაკის მეთაურობით. მათ შორის ორი ქართველი, მე და ბატონი ნოდარ თენეიშვილი (წყალტუბო), რომელიც დასაწყის და ბოლო ეტაპზე მონაწილეობდა. სულ იახტაში სხვადასხვა დროს 28 სპორტსმენი იყო, მაგრამ თავიდან ბოლომდე მხოლოდ სამმა—ედგარ ტერიოხინმა (რიგა), სერგეი სტნეცკიმ (ოდესა) და თქვენმა ინტერვიუერმა გაიარა.

ცნობილია, უითბრედის შეჯიბრებას სულ ოცი წლის ისტორია აქვს. ეს იყო მეხუთე რბოლა, ხოლო ჩვენთვის პირველი, ვინაიდან „ფაზისის" სახით საბჭოთა კავშირი, უკეთ რომ ვთქვათ, საქართველო მონაწილეობდა. რამეთუ იახტა ქართულია, ფოთში აშენებული და, სხვათა შორის, უმეტესად ასეც წერდა მსოფლიოს პრესა. ჩვენი ეკიპაჟი მეგობრული იყო, მაგრამ სურვილი მაქვს 1993-1994 წლების უითბრედში უფრო ძლიერმა და უფრო მეგობრულმა ეკიპაჟმა მოიყაროს თავი... ჩემი აზრით, „ფაზისელი" უნდა გახდეს ის, ვისაც შესწევს ძალა არა მხოლოდ შემოუაროს დედამიწას, არამედ შემოუაროს და მოიგოს კიდეც ეს შეჯიბრება. ცხადია, ასეთი პიროვნება ფსიქოლოგიურად ძლიერი, მეგობრული გრძნობით აღსავსე და დაძაბული ვითარების განმმუხტველი უნდა იყოს.

**— დამთავრდა მოგზაურობა. გამარჯვებული დაუბრუნდით მშობლიურ კერას. მერე? მერე რა მოხდა? თქვენთან შესახვედრად ბარემ სამჯერ ჩამოვედი ფოთში და ხან მოსკოვშიაო მეუბნებიან, ხან ამერიკაშიო. რას აკეთებდით? იქნებ დედამიწის გარშემო თქვენი მოგზაურობა რომელიმე უფრო დიდი საქმის დასაწყისად იქცა?**

— მოგზაურობის შემდეგ „ფაზისი" გადავიყვანეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში — ქალაქ ნიუ-იორკში და დავიწყეთ კეთილი ნების ტური. ჩვენი მიზანი იყო ამერიკისთვის გაგვეცნო ფოთელთა ნახელავის — „ფაზისის" სანაოსნო და სპორტული მონაცემები. ამ მიზნით ამერიკის აღმოსავლეთი ნაწილი ბოსტონიდან ფლორიდამდე ორჯერ გავცურეთ. სამომავლოდ გვინდა უითბრედში უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ. ვფიქრობთ, ამის საფუძველი არის ამერიკული დოლარი და კომერციის ამერიკული ნიჰი. ხოლო ფოთში „ფაზისის" მსგავსი იახტის და კიდევ უკეთესის აშენების ყველა პირობა არსებობს. ამჯერად სწორედ ამ საქმიანობას ვეწევი, როგორც ფირმის წარმომადგენელი — „ფაზისის" რეკლამის მენეჯერი...

**— თქვენ, 38 წლის ხართ, ზღვისპირა ქალაქ ფოთში დაბადებული და გაზრდილი, ხოლო 33 საუკუნის წინათ აქ, სადღაც იყო ლეგენდარული აიეტისა და არგონავტების შეხვედრა, ვაჭრობა, პაექრობა, ღალატი... ხოლო თქვენ, თუ არ ვცდები, არგონავტების კვალდაკვალ მოგზაური ტიმ სევერინის ექსპედიციის წევრიც იყავით. ერთი სიტყვით, წარსულს მივხედოთ. ვინ არის თქვენი იდეალი აფროსნობა-ზღვაოსნობაში?**

— უნდა გამოგიტყდეთ, მაინტერესებს როგორც ოლიმპიური, ისე კომერციული სპორტი. ჩემი იდეალია პაულ ელსტრემი, დანიელი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი აფროსნობაში, და... ფრენსის ჩიჩესტერი, სახელგანთქმული ბრიტანელი ზღვაოსანი, რომელმაც იახტით დედამიწის გარშემო მოგზაურობისას აჩვენა ცურვის ყველაზე უმაღლესი დრო (226 დღე), განახორციელა ყველაზე გრძელი შეუჩერებელი გადასვლა (15517 მილი), გამოიყენა ყველაზე სწრაფი ერთპილოტური ნავსადგური (ერთი), დაამყარა მრავალი სისწრაფის რეკორდი; რაც შეეხება ტიმ სევერინის ექსპედიციას, 1984 წლის ზაფხულს, ყოველთვის ნეტარებით ვიგონებ: განსხვავთ, ალბათ, იმ ექსპედიციაში უმრავლესობა ირლანდიელები იყვნენ და ერთ-ერთი უითბრედის შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა. მან დედამისს მიწერა და... ტიმის წიგნი ავსტრალიაში საჩუქრად მივიღე...

**— მოგზაურობისას უთუოდ იქნებოდა მძიმე ჟამი, სტიქიასთან ბრძოლის, ყოფნა-არყოფნის წუთები, როცა თვით „ფაზისის" ბედიც ბეწვზე ეკიდა....**

— მეორე ეტაპის მეოცე დღეს, კირგილის კუნძულის სიახლოვეს, ამოვარდა უძლიერესი შკვალი — 30 მეტრი წამში. შედარებისათვის ვიტყვი: ასეთი გრიგალისაგან ქალაქი ინგრევა და... ჩვენი „ფაზისიც" გადაწვა ისე, რომ მისი ანძა აქოჩრილ ტალღას „კოცნიდა". ასეთ სიტუაციას ზღვაოსანთა ენით „ბროუჩინგ" ეწოდება...

●

ჩვენი საუბარი მასპინძლის მყუდრო ბინაში, წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის მზერა-ტკბობისაგან თავისუფალ წუთებში, დედ-მამისა და ბიძის თანდასწრებით წარიმართა. ქალბატონი ნელის ყოველი მნიშვნელოვანი ამბის საილუსტრაციოდ ალბომში ლამაზად ჩაკერებული ფერადი სურათები, საქართველოს თუ მსოფლიოს პრესის მასალები და შვილისაგან დედამიწის ოთხი კონტინენტიდან გამოგზავნილი ბარათები მოჰქონდა; მეზღვაურყოფილი მამა და ბიძა ბატონი ვახტანგ იობაძე კი დუმდნენ, და ალბათ, ჯუკისა და თავიანთ საზღვაო თავგადასავალს გულგონებაში ერთმანეთს უდარებდნენ.

და როცა მასპინძელმა ჩემს ოცდაოთხსავე კითხვას უპასუხა, ყველამ ერთმანეთს გადავხედეთ და ვიგრძენით, რომ ყველაფერი იმდენად საინტერესოა და მნიშვნელოვანი, რომ სასურველია შეიქმნას წიგნი და რაც შეიძლება მალე...

ასე რომ, ინტერვიუს გარეთ რჩება ბატონი ჯუმბერ ცომაიას ეკოლოგიური თუ ეკონომიკურ-კომერციული შთაბეჭდილებანი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდული ექსპედიცია „ოქროს საწმისი" (1970-1971), მომდევნო წლებში, შარშან და წლეულს საქართველოს და ქართველთა ისტორიულ ადგილებში, განხორციელებული და მომავალში განსახორციელებელი ექსპედიციები; აგრეთვე, ჯუკის აფროსნობა-ზღვაოსნობის პირველი წლები, საქართველოს, საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებანი და მის მიერ გამოზრდილი ასამდე სპორტსმენის თავგადასავალი, ტოლ-მეგობრებისა და მოწაფე-მასწავლებელთა მიმართ თქმული კეთილი სიტყვები და სტრიქონები.

სამაგიეროდ თუ სანაცვლოდ გთავაზობთ ჯუკის საზღვაო წიგნიდან და დედისადმი გაგზავნილი ბარათიდან ამოღებულ სტრიქონებს, რომ უკეთ შევიგრძნოთ და შევიმეცნოთ ოკეანესთან მორკინალი ქართული ხასიათი. მაშ ასე:

**2.09.1989.** ეს დღე, ალბათ, ყველაზე დასამახსოვრებელი დარჩება ჩემს ცხოვრებაში... სტარტი ავიღეთ საუთჰემპტონის წყლებში... სამი საათი მივდიოდით მაყურებლების დერეფანში, რომლებიც გამოსული იყვნენ იახტებით, კატერებით, ალბათ, 2 ათას ნავამდე იქნებოდა. თავს ზევით დაფრინავდა ოცამდე ვერტმფრენი, რომლებიც ყველა იახტას უღებდა ვიდეოს... სიტუაცია დაიძაბა, როცა ქარი ჩადგა. ურუგვაისკენ გასასვლელი გვაქვს 6500 მილი...

**19.09.1989.** მთელი ამ 17 დღის ცურვის განმავლობაში ეს დღე ძალიან ლამაზი გამოდგა. ჩემს ცხოვრებაში პირველად გადავლახე ეკვატორი. ამ დღისათვის ჩვენს იახტაზე უკვე მზად იყვნენ. 16 წევრიდან მხოლოდ ექვსს ჰქონდა გადალახული ეკვატორი. ამიტომ ნათლობა მივიღეთ: 10 კაცს ახალი სახელები დაგვარქვეს. მე თევზის სახელი მიწოდეს — სეივალი...

**6.11.1989.** მესამე დღეა მივდივართ ნისლში. მხედველობა 50 მეტრიდან 300 მეტრამდე იცვლება. ღამით ანძასთან დგას ვახტა, რომელსაც ყურადღება გამახვილებული აქვს, რომ არ შევეჯახოთ აისბერგს...

**17.11.1989.** რვა საათის განმავლობაში სიჩქარე ტალღაზე 22 კვანძამდე ადიოდა. ასხლეტილი შხეფები ისეთი სიჩქარით და სიძლიერით გვირტყამდა, რომ ერთხელ მისროლა კიდეც და პირდაპირ თავით გემბანზე დამაგდო. კიდევ კარგი მიბმული ვიყავი (საერთოდ თითქმის მთელი რეგატა მიბმულები დავდივართ გემბანზე), თორემ ისეთი დიდი ტალღებია და ძლიერი ქარი, სხვანაირად ყველა წყალში აღმოვჩნდებოდით...

**14.02.1990.** უითბრედის რეისს მსოფლიოს ძალიან ბევრი წამყვანი ფირმის წარმომადგენელი დასდევს და კონტრაქტს აფორმებენ სხვადასხვა ქვეყანასთან. ეწყობა პრესკონფერენციები, რაც ჩვენც შეგვიძლია, გამოვიყენოთ...

**22.02.1990.** რამდენი რამე წამიკითხავს, რამდენი გამიგია და ყოველთვის, ყველა სიტუაციაში აფროსანისთვის ევერესტი ჰორნის კონცხი იყო. და აი, დღეს, 6 საათსა და 04 წუთზე მე ვხედავ მას...

...ეს დღე არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან, მაგრამ ეს ჩემთვის მაინც ისტორიული თარიღია. მე შემოვუარე იახტა „ფაზისით" მსოფლიოს...

**სტრიქონები დედისადმი გაგზავნილი წერილიდან:**

ვფიქრობ, მთავარი გაკეთებულია. ჩვენი იახტა მონაწილეობს უითბრედის შეჯიბრებაში და მთელს მსოფლიოს აცნობს ჩვენს ქვეყანას. ჩემი ამბავი მთელმა უითბრედმა იცის. იციან, რომ ვარ ქართველი და რომ იახტა „ფაზისი" საქართველოდანაა. არც ესაა, ალბათ ცოტა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

**გვანჯი მანია**

გაზეთის სტუმარი



ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, რომ საქართველოს კომპარტიამ მორიგი „ეროვნული გმირობა“ ჩაიდინა: არც მეტი, არც ნაკლები, მისი ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მხარი დაუჭირა ე. წ. „ГКЧП“-ს დადგენილებას სსრკ-ს რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების თაობაზე.

საქართველოს კომუნისტებმა, ფაქტიურად, მხარი დაუჭირეს სსრკ-ში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას და, რაც კიდევ უფრო სავალალოა, ეს მაშინ, როცა თავად საკავშირო კომპარტიაც კი არ გამოსულა ასეთი წინადადებით.

თავიანთ ორგანოში ისინი წერენ („ცხოვრება“. 21 აგვისტო), რომ „საქართველოს რესპუბლიკას მხოლოდ... საგანგებო კომიტეტისადმი მხარდაჭერა... გამოიყვანს უმძიმესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარებიდან“... ამაზე მეტი ცინიზმი წარმოუდგენელია! იმის ნაცვლად, რომ აღიარონ თავიანთი 70-წლიანი მმართველობის უმძიმესი შედეგები, ხალხს ახლა იმას მოუწოდებენ, სამხედრო ხუნტას დაუჭირონ მხარი...

დღევანდელ საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტიაა, ხელისუფლების მომხრეც და მასთან ოპოზიციაში მდგომიც, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია აზრად, რომ ასეთი თვითმკვლელობის მოწოდებით გამოსულიყო.

თუ კიდევ დარჩა პატიოსანი ადამიანი საქართველოს კომპარტიაში, მოვუწოდებთ, რომ უარი თქვას ამ პარტიის წევრობაზე, ისევე, როგორც რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების დემოკრატიულმა ძალებმა თქვეს უარი საგანგებო კომიტეტისადმი მხარდაჭერაზე.

უარი თქვით კომპარტიაზე, თორემ მგელი მგლობას არც ცხვრის ტყავში გახვევის შემდეგ მოიშლის!..

პარაკია ორ დიდ ტრაგედიაზე — გერმანიაში ფაშისტურმა იდეამ რომ დაატრიალა და საქართველოში — კომუნისტურმა.

ცეცხლით და მახვილით გაბატონდა საქართველოში კომუნისტური იდეა. დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ორად გახლიჩა საქართველოც. „ლომის წილი“ საქართველოს ტერიტორიისა რუსეთის საბჭოთა იმპერიას დაუმორჩილა, ნაწილით კი თურქეთი „მოიმადლიერა“. კიდევ მეტი — იმპერიის „ლომის წილიდან“ ნაწილით ჩვენსავით ოკუპირებული მეზობლები, ყოფილი სახელმწიფოები „გაახარა“, ნაწილი კი საკუთრივ რუსეთს „დაუმკვიდრა“, რითაც უძლევებ ვეშაპს „შავ ზღვაზე გასასვლელის“ გაფართოებისა და ვლადეი კავკაზის“ დიდმპყრობელური ოცნებები აუხდინა კიდევ ერთხელ.

საშინელი დილემის წინაშე დააყენა კომუნისტურმა იდეამ საქართველოს ხალხი — ან

ზემოთ ფაშიზმზე და ამ იდეის მატარებელ, საერთაშორისო სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილ პარტიაზე მოგახსენებდით... წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს ამ ორი იდეის მიერ დატრიალებული ტრაგედიები...

საბჭოთა კავშირში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხთა მოძრაობა უპირველეს ყოვლისა, კომუნისტურ იდეას უპირისპირდება. ამიტომ იგი ანტიკომუნისტური მოძრაობაცაა. დღეს უკვე აქტიურად გაისმის ხმები ამ იდეისა და მისი მატარებელი პარტიის გასამართლების მოთხოვნით. განთავისუფლებული ერები ასეთ საერთაშორისო სასამართლოს უეჭველად მოაწყობენ. რას ეტყვის მაშინ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია საქართველოს ხალხს, მსოფლიოს ხალხებს — მე „ძველთან გამიჯნული“, ჰუმანური კომპარტია ვარო? თუ პროგრამას და წესდებას აჩვენებს — აქ კო-

რული უფლებაა ისეთი წესით „გაეყაროს“ სკკპ-ს, როგორც თავად მიაჩნია გამართლებულად. დღეს მრავალი თვლის, რომ სკკპ არ იყო პოლიტიკური პარტია. იგი სოციალურ-პოლიტიკური დილემა იყო, რომელმაც სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანის წინაშე დააყენა საქართველო ამ 70 წლის წინათ. რატომ ვაიძულებთ ყოფილ სკკპ წევრებს განცხადების დაწერით ნებსით თუ უნებლიეთ ისევ სცნონ სკკპ, როგორც პოლიტიკური პარტია?

უჩვეულოა სხვას მაღალ ზნეობასა და „რაინდულ კეთილშობილებაზე“ „ანტიკონსტიტუციურ მოქმედებაზე“, „პოლიტიკური პარტიის უფლებებზე“ უკიჟინებდე, თავად კი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობისა და ორგანიზაციულ-საწესდებო მოთხოვნების ელემენტარული საკითხები გქონ-

[illegible]



[illegible]

# ...კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს!



ხშირად გაისმის საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური

[illegible]

...ენოთ: არაბთა ოთხსაუკუნეო ბატონობის შემდეგ გათავისუფლა თბილისი დავით აღმაშენებელმა. განსაცვიფრებელი სისასტიკით შეიჭრა დავით თბილისში. დაანგრია, გადაწვა ნაცარტუტად აქცია აღმაშენებელმა საქართველოს დედაქალაქი. ასე „უცნაურად“ მოექცევამოსილი მეფე ქალაქს, რომელმაც ალყის შემდეგ, ... დანებება აღუთქვა ქა-

[illegible]

... ლება. ბედნიერებაა, რადგან ზეიმობს ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ მიმავალ გზაზე შემდგარი სული.

ავთანდილ ჩიქვინიძე

## წინაპრები და თანამედროვენი



# ...ზრდება დიდთა საქმეთაგან!

ჩვენს სახელოვან მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს აკაკი გაწერელიას ამას წინათ 80 წელი შეუსრულდა. შემოქმედი კაცისათვის, რომელსაც უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი, ეს არცთუ ისე დიდი ასაკია, მაგრამ არც იმდენად მცირე, რომ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწროს. ამ მხრივ ბატონ აკაკის სასაყვედურო არაფერი არა აქვს, მან დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას.

მისი სტატიები ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, ისტორიულ მოვლენებზე საინტერესო და ორიგინალურია, გამოირჩევა კეთილსინდისიერებით და მეცნიერული ობიექტურობით. ამასთან, ყოველი სტრიქონი ხალასი ნიჭით არის დაწერილი და ნათლად სჩანს აზროვნების აქტივობა. იგი ნებისმიერ მოვლენაში ახალ, საინტერესო მხარეს აღმოაჩენს და ყოველმხრივ ასახავს ხოლმე, ეძებს მთავარს, ხელმოსაჭიდს და შემდეგ თავისი დიდი პოეტური წარმოსახვის წყალობით მთლიან და ცოცხალ სურათებს ჰქმნის.

ბატონ აკაკის ძალიან უყვარს მეტაფორული გადახვევები, ხშირად ხმარობს ანდაზებს, აფორიზმებს და შედარებებს, რაც მის ნაწერებს დიდ მიმზიდველობას აძლევს და სასიამოვნო წასაკითხს ხდის. განსაკუთრებით ხელეწიფება პატარ-პატარა მოთხრობები. სწორედ აქ აღწევს იგი ფორმის სრულყოფილობას. ქართულ სიტყვას შესანიშნავად ხმარობს და ენობრივი ნიუ-

[illegible]

ნორმალური შრომის პირობები უნდა შევუქმნათ შინ და გარეთ. დარწმუნებული ვართ, ეხლა უფრო მომწიფებულია ინტელექტუალურად და უფრო კარგ და საჭიროს შექმნის. მას დიდი გეგმები აქვს და ღმერთმა ქნას, რომ შეძლოს მისი შესრულება.

ანზორ ჯოხაძე,

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.



შიომღვიმის ეკლესია.



სამშვილდე.

ზურაბ დათუაშვილის ფოტოები.

## სპორტი

# წყლის თხილამურები



# და სხვა...





**გასულ კვირას ფოთში დამთავრდა ევროპის 1991 წლის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. ჩვენი გაზეთიდან ამ პირველობაზე მივლინებული იყო სპეციალური კორესპონდენტი გ ი ა ტ უ ხ ა შ ვ ი ლ ი, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდა „ახალგაზრდა ივერიელის" შტატგარეშე კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ი რ მ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი.**

**დღეს გთავაზობთ მათ ერთობლივ რეპორტაჟს.**

### საქმიანი ბიზნესმენი

ბოლო სამი თვის განმავლობაში ამ კაცის სახელი და გვარი ძალზე ხშირად გაისმოდა. ეს არც იყო გასაკვირი — ბატონმა რომან მელიამ, საქართველოს წყალ-სათხილამურო სპორტის პრეზიდენტმა, შეუძლებელი შეძლო. ეს ჩემპიონატი ხომ, რომ იტყვიან, მან კბილებით გაიტანა... ამისათვის ბატონ რომანს არაერთი ბარიერის გადალახვა მოუხდა, თანაც სხვადასხვა სახეობისა და სხვადასხვა რანგის... ქართველი კაცის ბუნება ისეთია, თუ რამეს ჩაიფიქრებს, ყველა ღონითა თუ ხერხით საწადელს უნდა მიაღწიოს, ამისათვის შეიძლება ზოგიერთ რამეზე თვალიც დახუჭოს, შეურაცხყოფა აიტანოს, მაგრამ საქმე გააკეთოს. აი, ასეთი გახლავთ ბატონი რომან მელია, ჩემპიონატის სპონსორის — ფოთის ჩაის კომბინატის დირექტორი.

ბატონი რომანი საქმიანი ბიზნესმენია, ისეთი ბიზნესმენი, რომელთა ხელშია საქართველოს მომავალი. თუმცა, როგორც ყოველთვის (იგივე ქართული ხასიათიდან გამომდინარე), მასაც არაერთი მოშურნე და მოწინააღმდეგე ჰყავდა. ბატონ რომანთან ვრცელი ინტერვიუს აღებაც დავაპირე, მაგრამ შემდგომისათვის გადავდე, ასე სჯობია... თანაც, აუცილებლად, ჩვენი გაზეთის ტრადიციული რუბრიკისთვის — „შაბათის ნომრის სტუმარი" დანარჩენს სწორედ იმ ინტერვიუში ვპირდებით მკითხველს. იქამდე კი გვინდა, დავასახელოთ ის ხალხი, რომელთა დახმარებას და თანადგომას გრძნობდა ბატონი რომან მელია ამ ჩემპიონატის ჩასატარებლად. ჟურნალისტებთან გამრთულ პრესკონფერენციაზე ჩვენი გაზეთის ტრადიციული რუბრიკის მომავალმა სტუმარმა გვთხოვა, რომ პრესის საშუალებით მადლობა გადაგვეხადა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა თუ სხვადასხვა სამინისტროების, საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა თუ სამოქალაქო ავიაციის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის. აი, ისინიც: ბატონები — თენგიზ სიგუა და ბაქარ გიგინეიშვილი, ფელიქს ტყებუჩავა და კახი ასათიანი, ალექსანდრე ჩხეიძე და თეიმურაზ კვანტალიანი, იგორ ჩხეიძე და თემურ ბუცხრიკიძე, თამაზ ვაშაძე და ნოდარ ამაშუკელი, ჯემალ ჰოლვარია და ბიჭიკო ვარშანიძე, თენგიზ ბარამიძე და ვალერი გეგიძე, ვაჟა მიქაბერიძე და თამაზ ლეჟავა, ირაკლი გოგიტიძე და ზურაბ კვაჭანტირაძე, ჯანო ბაგრატიონი და ოთარ ხომერიკი და სხვა. და ბოლოს, საქართველოს სათავეში ახალი ხელისუფლება რომ არ მოსულიყო და, პირადად, ბატონი ზვიად გამსახურდია არ დაინტერესებულიყო, ეს ჩემპიონატი ფოთში არ ჩატარდებოდა, ბრძანა პრეს-კონფერენციის დასასრულს რომან მელიამ.

### „ფიროსმანი" და ლამაზი ბრიტა

ჩემპიონატზე გამოსვლებს შორის საკმაოდ დიდი „შუალედები" იყო. ამ დროს სპორტსმენები, ბუზებივით დახვეულ ჟურნალისტებს იგერიებდნენ, მაყურებლების ნაწილი—ადგილის შენარჩუნებისათვის თაკარა მზეზე (ან პირიქით — წვიმაში) თავს სწირავდა, ნაწილი კი — სუვენირების ჯიხურებს აკითხავდა...

ამ ჯიხურებში სხვადასხვა მხატვრების ნაკეთობები და ნახატები იყო გამოფენილი, გამყიდველები კი — თითქოს იმ ნახატებიდან გადმოსული ძალიან მომხიბვლელი და ძალიან გულისხმიერი ქალბატონები, დარეჯან ჯიქიძე და ლამარა ლორჩოშვილი პირდაპირ ღიმილად იღვრებოდნენ.

შემდეგ ჯიხურში ქალბატონი ირინა ლეკიშვილი, თვითნასწავლი მხატვარი, თავის ალტაცებას ვერ ფარავდა ადგილობრივი მოსახლეობის გულისხმიერების გამო. ასეთი თბილი ხალხი არცერთ კუთხეში არ შემხვედრიაო, რომ მითხრა, ერთიორად ამაყი გავხდი! აქ შემოქმედებითი ასოციაცია „ფიროსმანის" მიერ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები იყო გამოფენილი: მხატვრული ტილოები, ჭედურობა, კერამიკული ნაწარმი... ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ჯემალ გოგიშვილმა და მთავარმა მხატვარმა ნიკო ედიბერიძემ „ფირმის საიდუმლოება" გამანდეს:

— ევროპის ჩემპიონი ქალისა და მამაკაცისათვის დაწესებული გვაქვს საგანგებო პრიზები: დიდი კერამიკული ვაზა, ქამარ-ხანჯალი, ყანწები... ასოციაცია აგრეთვე საგანგებო პრიზს — „ფიროსმანის" ოსტატების ნახელავ სამკაულების კომპლექტს გადასცემს გულშემატკივრების მიერ აღიარებულ ყველაზე მომხიბვლელ სპორტსმენს. საბოლოო ჯამში პრიზი ავსტრიელმა, მართლაც მომხიბვლელმა, სპორტსმენმა ქალმა, ბრიტა გრებემ მოიპოვა.

### დოლარები, პრიზები და... გენადის „მოსკვიჩი"

როგორც ყველა მაღალი რანგის ტურნირზე, ფოთშიც უამრავი პრიზი იყო დაწესებული, როგორც ფულადი, ასევე სუვენირების სახით. ზოგიერთი სუვენირი კი ერთობ სოლიდურიც იყო, მაგალითად, ავტომობილი „მოსკვიჩი", რომელიც იმ ქართველ სპორტსმენს ერგებოდა, ვინც საუკეთესო შედეგს აჩვენებდა თანაგუნდელთა შორის მრავალჭიდში. როგორც მკითხველმა იცის, საქართველოს ნაკრები ამ ჩემპიონატში კონკურსგარეშედ ასპარეზობდა. ძირითადი იმედი, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების ლიდერებზე — ხათუნა კორკელიასა და გენადი გურალიაზე იყო დამყარებული. ორივე ახალგაზრდა სპორტსმენმა, თანაც დებიუტანტებმა ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებისა, არც თუ ურიგო შედეგი აჩვენეს. ხათუნა კორკელიამ ხტომებში მე-5 ადგილი დაიკავა. გენადი გურალია კი იმავე სახეობაში მეექვსე იყო. საბოლოოდ, გენადი გურალიას ტურნირზე შეძენილ გამოცდილებასთან ერთად „მოსკვიჩიც" ერგო. ჩვენ მკითხველს კი უახლოეს ხანში ვპირდებით ინტერვიუს ხათუნა კორკელიასთან.

ზემოთ ასოციაცია „ფიროსმანი" ვახსენეთ, მათ გარდა პრიზები დააწესეს: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, გაერთიანება „საქრძემ", საქართველოს ყრუმუნჯთა კავშირმა, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ, სპორტსაზოგადოებებმა „დინამომ" და „მართვემ", საქართველოს რესპუბლიკის ელექტრო-ენერგეტიკის სამინისტრომ, პურპროდუქტების გაერთიანება „საქმთავარმონტაჟსპეცმშენმა", თბილისის უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკამ, ფოთის პურკომბინატმა, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმო-სავაჭრო — საიჯარო ფირმა „ოქსინომ", საქართველოს ადგილობრივი კურორტების გაერთიანებამ, საქართველოს დიზაინერთა ფონდმა და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებამ.

ყველაზე სანუკვარი დოლარები და მანეთები კი, რომელიც საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ გამოყო ქართველი სპორტსმენებისათვის, გაუცემელი დარჩა...

### ცოტა წყლის თხილამურებზეც...

ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს დამოუკიდებელ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ (პრეზიდენტი — ბატონი ელგუჯა ბერიშვილი) ფულადი პრიზები დააწესა იმ ჟურნალისტებისათვის, ვინც ყველაზე უკეთესად გააშუქებდა რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე ევროპის 1991 წლის ჩემპიონატს. ისე, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ისეთი პრიზიც (სპეციალური, ოღონდ) დაეწესებინათ, რომელიც გადაეცემოდა ჩემპიონატზე აკრედიტირებულ ჟურნალისტთაგან იმას, ვისი დასწრების კოეფიციენტი ხუთდღიან საინტერესო სანახაობაზე ყველაზე დაბალი იქნებოდა... არადა, ასეთი ჟურნალისტი ნამდვილად იყო, ოღონდ ზრდილობა მაინც ვერ ვიტყვი, მერიდება...

ახლა კი, ალბათ, დროა ლაურეატებიც დავასახელოთ. ისე, წინასწარ ვიტყვი, რომ ზოგიერთი სახეობა გულთან ახლოს ვერა და ვერ მოვიდა... მაგალითად, კაცების ფიგურული სრიალი ძალიან ულამაზოდ მომეჩვენა; აი, სლალომი და, განსაკუთრებით, ხტომები აშკარად მიმზიდველი იყო.

მაშ ასე, ჩემპიონები გახდნენ:

**ქალთა შორის:**

**ხტომები — გრიტა გრებე (ავსტრია);**

**სლალომი—ფილიპა რობერტსი (ინგლისი);**

**ფიგურული სრიალი — ოლგა პავლოვა (სსრკ);**

**მრავალჭიდი — ოლგა პავლოვა.**

**ვაჟთა შორის:**

**ხტომები — ანდრე ალესი (იტალია);**

**სლალომი — ჯონ ბატელდერ (ინგლისი);**

**ფიგურული სრიალი — ნიკოლა დე ფორესტიე (საფრანგეთი);**

**მრავალჭიდი — ანდრე ალესი (იტალია).**

### ჟურნალისტებიც ხანდახან ხალხია...

ჩვენი პროფესიის ხალხი ყველაზე ძალიან უყურადღებობასა და დაუფასებლობას ვერ იტანს... საბედნიეროდ, ფოთში ასეთი რამ არ მომხდარა, პირიქით — საორგანიზაციო კომიტეტი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო ჩვენთვის. მთელი დღეები სამუშაო განწყობილება სუფევდა პრეს-ცენტრშიც, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, გაზეთ „ლელოს" რედაქტორი, ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძე. მაშ ასე, როგორ აფასებს პრეს-ცენტრის მუშაობას ჩემი უფროსი კოლეგა, ბატონი **თენგიზ გაჩეჩილაძე?**

— პირველ ყოვლისა, უნდა ითქვათ, რომ ისევე, როგორც არა გვქონდა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების გამოცდილება, იგივე შეიძლება ითქვას პრესცენტრის მუშაობაზეც. მაგრამ, უცხოეთში მრავალჯერ მინახავს მაღალი რანგის შეჯიბრებებზე პრეს-ცენტრების მუშაობა და შევეცადეთ, რომ იქაური მოდელი და დონე აქაც შეგვენარჩუნებინა. მთლიანობაში, მიმაჩნია, რომ შეჯიბრების ორგანიზატორების აქტიური დახმარებით შევძელით ორგანიზებულად წარგვემართა პრეს-ცენტრის მუშაობა, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატის ბოლო დღემდე იზრდებოდა ჟურნალისტთა ნაკადი და საბოლოოდ დაფიქსირდა პრესის, ტელევიზიის, რადიოსა და კინოს 112 წარმომადგენელი. მისასალმებელია, რომ კინოსა და ტელევიზიის ასეთი მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების მეშვეობით ეს ასპარეზობა ქართული სპორტის ისტორიაში დარჩება. ისე, დასამალი არ არის და მუშაობა ნაწილობრივ დაამძიმა იმან, რომ განსხვავებით სხვა შეჯიბრებებისაგან (ალბათ, ეს არის ერთადერთი და უნიკალური შემთხვევა), ჩვენი პრესცენტრი მუშაობდა საზოგადოებრივ საწყისებზე.

დასასრულ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო კავშირგაბმულობის მუშაკებს და პირადად, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეს, ბატონ თემურ ბუცხრიკიძეს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც ჟურნალისტებს გაგვიწიეს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში.

## ყურადღება!

გაზეთ „შანსის" რედაქციის კომპიუტერული ცენტრი მსურველებს სთავაზობს წიგნების აწყობას და დაკაბადონებას. შეკვეთები მიიღება როგორც ნაღდ ანგარიშზე (ორგანიზაცია-დაწესებულებისაგან და ცალკეულ ავტორებისაგან), ასევე გადარიცხვით.

ჩვენი მისამართია: თბილისი, მ. კოსტავას 14, გაზეთ „შანსის" რედაქცია.

ტელეფონები: 98-88-52, 99-94-65.

## გამოსათხოვარი

### გიგი კილაძე

როგორ გვიჭირს შენთვის გამოსათხოვარი სიტყვების თქმა, ეს ხომ ჩვენთვის წარმოუდგენელია, დაუჯერებელი. გამოსათხოვარი სიტყვები შენ? შენ, ჩვენს სიყრმის მეგობარს, ჩვენი სულის განუყრელ ნაწილს, მუდამ ხალისიანო და საფერებელ გიგი კილაძეს? ეს რა ქენი, გიგი! როგორ გაოგნეული დაგვტოვე ყველა.

მეოცნებე იყავი ყოველთვის — ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაშიც და კონსერვატორიაშიც. მაღალნიჭიერებასა და ინტელექტთან ერთად დიდი კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდი. შენი ცისფერი თვალები სიყვარულითა და სიკეთით იყო სავსე, ყველას გვათბობდა, გვაიმედებდა. ამ ქვეყანას ვარდისფერი სათვალეებით უყურებდი, ყველაფერში ამაღლებულს და წმიდას ეძებდი. შენ ხომ შენი სამყარო გქონდა, გიგი, სადაც სიკეთე ძლევდა მუდამ ბოროტებას. ალბათ, ამიტომ გაკრთობდა ცხოვრებისეული სიძნელეები.

შენი სული ზეცას გაფრინდა, რით ვანუგეშოთ უბედური დედაშენი და შენი და?

რით ვინუგეშოთ თავი?

შენი ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში.

მეგობრები

### ივანე ჩომახაშვილი

შენმა სიკვდილმა თავზარი დასცა ყველას, ვინც კი გიცნობდა. ვაი, რომ 39 საფეხურით განუსაზღვრავს განგებას შენი ცხოვრების გზა-კვალი, რომელზეც სიყვარულს თესდი და იმკიდი. ქართული სულის ყველა დადებითი თვისება განსახიერებულიყო შენში. მოსიყვარულე და მზრუნველი შვილი, მეუღლე და მამა იყავი, ულალატო მეგობარი და ნაღდი ქართველი ვაჟკაცი. ახლობლის გაჭირვება შენს მხრებზე გადაგქონდა, მათივე სიხარულით ხარობდი. კეთილმა და უპრეტენზიომ უწყვეტი სიყვარულის დათესვა მოასწარი, შენს ტკივილსაც იუმორში და ღიმილში მალავდი, ალბათ, ამიტომ არავინ იცოდა გული თუ გაწუხებდა. დაგიობლდა სიყვარულით შექმნილი ოჯახი, ტკივილი და მამის მონატრება ჩასახლებულია შენი ორი ბიჭის — მერაბის და მამუკას თვალებში. გვტანჯავს მათი საცოდაობა და დარწმუნებული ვართ, შენს დათესილ სიკეთეს და სიყვარულს ისინი მოიმკიან.

მშვიდობით, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო და დაუვიწყარო ადამიანო.

მეგობრები

# ხიფათიან გზებზე



ამას წინათ ყოფილი ცხინვალის რაიონის ორ ქართულ სოფელში — ქსუისსა და დისევში, შვიდი თვის შემდეგ, პირველად მიიღეს საფოსტო გზავნილებზ. იგი ჩაიტანა კავშირგაბმულობის სამინისტროს ავტობაზის მძღოლმა სპარტაკ დვალიშვილმა.

უზომოდ გაიხარეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს მონატრებულმა ადამიანებმა, ხარბად დაეწაფნენ პერიოდიკას, თან კითხვას-კითხვაზე აძლევდნენ სპარტაკს.

იანვრის პირველ რიცხვებში გაემგზავრა სპარტაკ დვალიშვილი პირველად სამაჩაბლოში. მას შემდეგ ყოველ დილას, კვირის გარდა, მიისწრაფის ნაცნობ ტრასაზე...

პირველად ცხინვალში შევა, თუმცა მანამდე შესასვლელში სსრკ შინაგანი ჯარების მეავტომატეები ჩაუსხდებიან, რადგან ოსი ექსტრემისტების მხრიდან ყოველთვისაა თავდასხმა მოსალოდნელი.

ცხინვალის შემდეგ სპარტაკი დიდი ლიახვის ხეობის სოფლებს აუყვება და არიგებს კეთილ სიტყვასა და ხვალინდელი დღის რწმენას.

უყვართ სამაჩაბლოელებს ეს ახალგაზრდა კაცი.

მამაცობისა და თავდადებისათვის პატივს სცემენ მას კოლეგები, კავშირგაბმულობის სამინისტროს ავტობაზის თანამშრომლები. ამ პატივისცემის ნიშნად იყო, მინისტრის ბრძანებით მადლობა რომ გამოუცხადეს და პრემიად ხუთასი მანეთი გადასცეს.

ისიც მზადაა, რათა პატივისცემას კეთილსინდისიერი შრომითა და გულისხმიერებით უპასუხოს. მისი ავტომანქანა ყოველთვის გამართულია, თავად ომახიანი და ხალისიანი, ცდილობს პირნათლად შეასრულოს დავალება — საფოსტო გზავნილები შეუფერხებლად შეიტანოს სამაჩაბლოს მრავალჭირგადანახად სოფლებში.

— ცხინვალსა და დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში რეგულარულად მიმაქვს პრესა, აი, პატარა ლიახვისა კი ყურადღების მიღმაა დარჩენილი, — განუცხადა სპარტაკმა ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციის რესპუბლიკური სამსახურის მუშაკებს და სიტყვას პირადად მიაყოლა საქმე.

ასე გადის დღეები სამაჩაბლოს ხიფათით აღსავსე გზებზე სიარულში, არაერთხელ ექსტრემალურ სიტუაციაშიც მოხვედრილა ეს გამრჯე კაცი, ადამიანია და შეიძლება, ცოლ-შვილის პატრონს შიშმაც გაუკენწლა გული, მაგრამ იცის — საქმე, რომელსაც ის აკეთებს, აუცილებლად გასაკეთებელია, ამიტომ მიდის და თუ თბილისი-გორის ავტოტრასაზე შეგხვდებათ „უაზის“ მარკის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით „04-04 გრდ“, მწვანე გზა უსურვეთ.

**მაკა ჩახმახაშვილი**

**სურათზე:** სპარტაკ დვალიშვილი.

**გენადი სანაიას** ფოტო.

## წერილი რედაქციას

# მესხეთში უნდა დაარსდეს სამხატვრო აკადემია

**სრული** დამოუკიდებლობისკენ სწრაფვასთან ერთად გარდაუვალი ხდება აგრეთვე ქართული ხელოვნების განთავისუფლებაც საბჭოური აპეურებისგან. ამ მიზნით აუცილებლად მიმაჩნია ქართული სამხატვრო აკადემიის დაარსება მესხეთის ტერიტორიაზე, სადაც აურაცხელი კულტურის ძეგლია თავმოყრილი, ეს საფარა იქნება, ვარძია, ზარზმა თუ სხვა, სადაც ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები ეზიარებოდნენ ჩვენი ფრესკებისა და ჩუქურთმების საოცარ სილამაზეს, ისწავლიდნენ საკუთარი ფესვებით საზრდოობას. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ქართული. ეროვნული ტრადიციებით შემოფარგვლას, მაგრამ გარსია ლორკას თქმით, „დუენდი“ რომ არ დაბრკოლდეს, ფუძის ანგელოზი უნდა გვიმართავდეს ხელს. ბიზანტიური ხელოვნების ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი დევიდ ტეიბოლტ ასე ამბობს ქართულ ოქრომჭედლობაზე: „თუმცა შუა საუკუნეებში იგივე ტექნიკა იხმარებოდა ბიზანტიურ სამყაროში, ვენეციაში, გერმანიასა და საფრანგეთში, საეჭვოა, რომ იმ რაოდენობის მეათედიც კი მოგროვდეს ყველა ამ ქვეყანაში ერთად, რამდენიც შემოგვინახა შუა საუკუნეების საქართველომ“. და მართლაც, საქართველოში 2500-ზე მეტი ოქრომჭედლობის ნიმუშია დაცული, მაშინ როდესაც ზემოხსენებულ არც ერთ ქვეყანას არ გამოუვლია იმდენი უბედურება, რამდენიც საქართველომ გამოიარა. მინდა, გავიხსენო უფრო ადრინდელი — ქრისტიანობის წინარე ხანის მხატვრული მელითონეობა, ბრინჯაოს ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები, საკვირველი სარტყელები, კოლხური ცულები — შემკული რელიეფური ორნამენტებით და ა. შ. ხოლო VIII-IX საუკუნეების მემკვიდრეობა — ქართული ტიხრული მინანქარი ბიზანტიური რაფინირებული ცივილიზაციის მაღალმხატვრულ ნიმუშებს უტოლდება. ასევე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული ფარდაგის ქსოვის ღრმა თვითმყოფადი ტრადიციები, მათი მაღალი ოსტატობა და შესრულების სრულყოფილება, უდიდესი ქართული ფრესკული მხატვრობა, ხატწერა, ქვის რელიეფი და ჩუქურთმები, ხეზე კვეთის საოცრად მაღალი დონე, ღრმა შინაარსის შემცველი ჰერალდიკური სიმბოლოები — ტოტემური აზროვნების წიაღში რომ იშვა და ა. შ. მესხეთის სამხატვრო აკადემიამ უნდა ითაოს ამ ძვირფასი მემკვიდრეობის პატრონობა, ხოლო სამხატვრო აკადემიის არსებობა ამ კუთხეში შემდეგნაირად მესახება — ჯერ უნდა დაარსდეს სკოლა, რომლის პედაგოგ-მასწავლებლებად შერჩეული იქნებიან მესხეთში მცხოვრები ოსტატები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ ამ კუთხეს და ეწევიან ხალხურ შემოქმედებას: ფარდაგის მქსოველები, მჭარგავები, ოქრომჭედლები, ხის მხატვრულად დამმუშავებლები, ქვაში კვეთის ოსტატები, აგრეთვე ფერმწერები, გრაფიკოსები, ხატწერის თუ ფრესკის სპეციფიკის და ტექნოლოგიის მცოდნეები, ვინც ფლობს მინანქრის ხელოვნებას, რელიგიის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლები, არქიტექტურის პედაგოგები, სასურველია შეიქმნას მესხეთში თეორიული ინფორმაციის მიმღები საგანგებო ბიბლიოთეკები, რომლებიც მომარაგდებიან თბილისიდან გამოგზავნილი, დაკონსპექტებული ან ქსეროქსზე გადაღებული ტექსტებით, რისთვისაც სათანადო ანაზღაურებას მიიღებენ. რომ ყოველ პედაგოგ-ოსტატს ჰქონდეს ელემენტარული ცოდნა ამ სპეციალობის ისტორიაზე საქართველოში, რომელიც უნდა ასწავლოს ბავშვებს — პრაქტიკული ხერხების ჩვენებასთან ერთად. ყოველ სპეციალობას თითო პედაგოგი ეყოლება და თითოეულ მათგანს ჩაბარდება ხუთ-ხუთი ბავშვი, დაახლოებით 15 წლის ასაკისა, რომლებიც ისწავლიან ერთდროულად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშიც. სწავლება იქნება არა მხოლოდ აუდიტორიებში, არამედ უშუალოდ ძეგლებზე ხშირი გასვლით, მოსწავლეები გააკეთებენ ფრესკების ასლებს და გადმოიტანენ ქვის ჩუქურთმებს, ხოლო სასწავლებელის დამთავრების შემდეგ, პირველ წელიწადს უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ახლადდაარსებულ მესხეთის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს მოწვეული პროფესიონალი პედაგოგებით. დაარსების მეორე წლისათვის, როცა აკადემია საკმაოდ მოიმაგრებს ფეხს, ჩატარდება მისაღები გამოცდები და სტუდენტები მიიღებიან საქართველოს ყველა კუთხიდან — თბილისის აკადემიისგან განსხვავებული გამოცდებით. ხოლო ზემოთ მოხსენიებული მოსამზადებელი სასწავლებელი იარსებებს შემდეგშიც. სასწავლებლისათვის პედაგოგებისა და მოსწავლეების შერჩევას, სწავლების მეთოდებს, აგრეთვე მხატვრული ნაწარმის ხარისხსა და შინაარსს შეამოწმებს სპეციალური კომისია ხელოვნებათმცოდნეებისა და მხატვრების შემადგენლობით. ეს საკითხი ჯერჯერობით დაუხვეწელია და ბევრ ფიქრს მოითხოვს. მაგრამ ერთი რამ ჩემთვის აბსოლუტურად ცხადია: მესხეთში უნდა დაარსდეს ახალი ტიპის ეროვნული სამხატვრო აკადემია და ამ საქმის გადადება არ შეიძლება. იგი საშურია და ჩემი აზრით, ყოველმხრივ ხელშეწყობას და დახმარებას საჭიროებს.

**გურამ ნემსაძე,**
მხატვარი.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**აცხადებს 1991 წლისათვის ასპირანტურაში მიღებას შემდეგი სპეციალობებით:**

**წარმოებისაგან მოწყვეტით**

1. დეფორმირებადი მყარი ტანის მექანიკა;
2. მყარი ტანის ფიზიკა;
3. ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკა;
4. არაორგანული ქიმია;
5. ანალიზური ქიმია;
6. ორგანული ქიმია;
7. ელექტროქიმია;
8. ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგია, ძიება და დაზვერვა;
9. მექანიზმებისა და მანქანების თეორია;
10. ელექტრული მანქანები;
11. თეორიული ელექტროტექნიკა;
12. ელექტროენერგიის ნახევარგამტარული გარდამქმნელები;
13. კავშირგაბმულობის არხებით ინფორმაციის გადამცემი სისტემები და მოწყობილობა;
14. რადიოტექნიკური და სატელევიზიო სისტემები და მოწყობილობა;
15. მართვა ტექნიკურ სისტემებში;
16. მართვის ავტომატიზებული სისტემები;
17. ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოებების ავტომატიზაცია;
18. დაპროექტების ავტომატიზაციის სისტემები;
19. გამომთვლელი მანქანები, სისტემების კომპლექსები და ქსელები;
20. თბოტექნიკის თეორიული საფუძვლები;
21. ჭაბურღილების ბურღვა;
22. შავი ლითონების მეტალურგია;
23. რკინიგზის ლიანდაგები;
24. რკინიგზის ლიანდაგების დაპროექტება და ძიება;
25. რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა და მატარებლების წევა;
26. სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაცია;
27. სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები;
28. ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია;
29. სამშენებლო მექანიკა;
30. ელექტრონული ტექნიკის წარმოების მოწყობილობა;
31. ბიოტექნოლოგია;
32. არქიტექტურის თეორია და ისტორია, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია;
34. ქალაქმშენებლობა, სარაიონო დაგეგმარება, ლანდშაფტური არქიტექტურა და სასოფლო-სამეურნეო დასახლებული პუნქტების დაგეგმარება;

**წარმოებისაგან მოუწყვეტლივ**

1. რადიოფიზიკა;
2. მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები;
3. საფრენი აპარატების წარმოების ტექნოლოგია;
4. სამედიცინო ხელსაწყოები და საზომი სისტემები;
5. მართვის ავტომატიზებული სისტემები;
6. დაპროექტების ავტომატიზაციის სისტემები;
7. ჰიდროელექტროსადგურები და ჰიდროენერგეტიკული დანადგარები;
8. საფუძვლები და საძირკვლები;
9. წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყლის რესურსების დაცვის სამშენებლო სისტემები;
10. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგია და ორგანიზაცია.

**მიზნობრივი ასპირანტურა წარმოებისაგან მოწყვეტით**

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

**წარმოებისაგან მოუწყვეტლივ**

1. მართვის ავტომატიზებული სისტემები — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
2. ტექნოლოგიური პროცესების და წარმოებების ავტომატიზაცია — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
3. მართვის ავტომატიზებული სისტემები — განათლების სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკა“.

განცხადება ასპირანტურაში მიღებაზე შემოიტანება რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით,
2. ავტობიოგრაფია,
3. დახასიათება-რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან.
4. გამოქვეყნებული ნაშრომების, გამოგონებებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშების სია (პირები, რომლებსაც ასეთი არ გააჩნიათ, წარმოადგენენ რეფერატს სპეციალობის მიხედვით),
5. ამონაწერი სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან პირთათვის, რომლებიც რეკომენდირებული არიან ასპირანტურაში ინსტიტუტის (ფაკულტეტის) სამეცნიერო საბჭოს მიერ უშუალოდ უმაღლესის დამთავრების შემდეგ,
6. უმაღლესის დამთავრების დიპლომის ასლი ამონაწერით საგამოცდო უწყისებიდან,
7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან,
8. პასპორტი წარმოდგინდება პირადად განცხადების შემოტანისას.

შემომსვლელები აბარებენ საკონკურსო გამოცდებს სპეციალობაში, ფილოსოფიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

გამოცდები დაიწყება 15 ოქტომბრიდან.

განცხადებები მიიღება 1-დან 30 სექტემბრამდე მისამართით: თბილისი, მ. კოსტავას ქ. 63, დოქტორანტურისა და ასპირანტურის განყოფილებაში.

ცნობები ტელეფონებით: 36-64-20 ან 36-21-84.

**რექტორატი**

კვირას, 25 აგვისტოს 12 საათზე თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში ჩატარდება სახალხო ზეიმი „არაგვილობა“.

ამ დღეს გაიმართება სპორტული ხალხური სანახაობანი: დოღი, ფარიკაობა, ჭიდაობა, ქვების სროლა შურდულით, მშვილდოსნობა და სხვა.

ძვირფასო თანამემამულენო! გთხოვთ, მობრძანდეთ ზეიმზე, გაერთოთ და დაისვენოთ.

**თეთრწყლების გამგეობა.**

## თბილისის თამარ მეფის სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდა,
2. დაწყებითი კლასების პედაგოგი;
3. ხელგარჯილობის მასწავლებელი.

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. სტუდენტები შეისწავლიან ყველა იმ საგანს, რომლებიც საჭიროა ქალის იდეალური და ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის, აგრეთვე იმ საგნებს, რომლებიც გამოადგებათ მომავალი თაობის აღსაზრდელად.

მეცადინეობა დაეთმობა კომპიუტერულ სწავლებას, უცხო ენებს, ხელგარჯილობას, მედიცინას, საქართველოს ისტორიას, რელიგიის ისტორიას, მუსიკას, ხატვას, კულინარიას... და ა. შ.

დიდი ყურადღება დაეთმობა ქალების ფიზიკურ აღზრდასა და გაჯანსაღებას. სწავლის პროცესში ფართოდ იქნება გამოყენებული თანამედროვე სასწავლო ტექნიკა, აუდიო-ვიდეო მასალა; მეთოდური და დამხმარე ლიტერატურა, სწავლის პროცესისთვის საჭირო სხვა აუცილებელი მოწყობილობანი.

სწავლის პროცესის მაღალ დონეზე წასამართავად მოწვეულნი არიან ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები.

ინსტიტუტი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. სტუდენტის მომზადება წელიწადში 5000 მანეთი ჯდება. ინსტიტუტში მიიღებიან პირები, ვისაც აქვთ საშუალო განათლება.

სწავლების საფასურის გადახდა ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე საწარმოებისა და ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირების მიერ სასწავლებლის ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის შემდგომ.

საბუთები მიიღება 29 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე, გარდა კვირისა 14 საათიდან 18 საათამდე.

გასაუბრება ჩატარდება 9 IX-დან 13 IX-ის ჩათვლით. ჩარიცხვა 15 სექტემბერს. განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა დაერთოს:

განათლების მოწმობა (დედანი),
დაბადების მოწმობა,
ავტობიოგრაფია,
ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან,
ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286);
40 მანეთი (გასაუბრების ჩასატარებელი სამეურნეო ხარჯებისთვის).

სწავლა მხოლოდ ქართულ ენაზეა.

აბიტურიენტები პასპორტს წარმოადგენენ პირადად.

გასაუბრება მოეწყობა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, მათემატიკა, უცხო ენა. ჩარიცხვა ხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით.

ინსტიტუტში უფასოდ ჩაირიცხებიან აბიტურიენტები ბავშვთა სახლებიდან.

საბუთების მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: 380079, ფალიაშვილის ქ. № 34. 56-ე საშ. სკოლა. III სართული. ტელეფონი: 22-35-85.

ცნობებისათვის დარეკეთ: 95-00-90 და 98-81-49.

სწავლის წლიური საფასური გადახდილ უნდა იქნეს ჩარიცხვიდან ორი კვირის ვადაში.

მცირე საწარმოო გაერთიანება „პროგრესი-XXI“ გთავაზობთ კომფორტული ავტობუსებით გადაყვანას თურქეთში — ტრაპიზონსა და სტამბოლში, მათთვის ვისაც აქვთ კერძო მოწვევები თურქეთის რესპუბლიკიდან.

ჩვენი მომსახურების ხარისხი ბევრად მაღალია, სხვებთან შედარებით, თუმცა ფასი ნაკლები.

მისამართი: ფალიაშვილის ქ.№94.

ტელ. 29-41-80.

ვმუშაობთ ყოველდღე 11-00 — 19-00

### ვაქირავებთ

ფალიაშვილის ქუჩაზე 25 კვ.მეტრ ფართს არა საცხოვრებლად. (კომერციული საქმიანობისათვის ან საწყობად).

დარეკეთ: 22-32-05

22-31-92

### ვიქირავებ

1 ოთახიან იზოლირებულ ბინას, ტელეფონით. მუხიანის, თემქის, ორთაჭალის, მოსკოვის პროსპექტის რაიონებში.

ტელ: 37-06-64 37-58-25 დარეკეთ შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17-საათამდე.

### საქართველოს გაზის სახელმწიფო კონცერნის სასწავლო კომბინატი

2 სექტემბრიდან აცხადებს მსმენელთა მიღებას გაზო-ელექტრო შემდუღებლების მოსამზადებელ კურსებზე, სწავლების ხანგრძლივობა სამი თვეა.

სწავლების თანხა შეიძლება გადახდილი იქნეს როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

სასწავლო კომბინატის მისამართია:

ქ. თბილისი, სამგორის რ-ნი

ქიზიყის ქ. №13

ავტობუსი № 225 (მეტრო სადგურ სამგორიდან).

### ტურისტული მოგზაურობები [illegible]

## ფირმა „ზევსი“ გთავაზობთ:

1. უაღრესად პრესტიჟულ მოგზაურობას შვეციაში მარშრუტით: თბილისი—ლენინგრადი—სტოკჰოლმი—ლენინგრადი—თბილისი. საგზურის ღირებულებაში შედის ოთხი დღის განმავლობაში სტოკჰოლმში უმაღლესი კლასის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება, სამჯერადი კვება ბრწყინვალე რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება, 300 კრონის (დაახლოებით 50 დოლარის) გადახურდავება; აგრეთვე ორი დღის განმავლობაში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება ლენინგრადში და თვითმფრინავით მგზავრობა ლენინგრადამდე და უკან.

საგზურის ღირებულება 6500 მანეთია.

ჯგუფები კომპლექტდება 3 და 17 ოქტომბრისთვის.

2. საზღვაო მოგზაურობას გერმანიაში კომფორტული თბომავლით „ანა კარენინა“.

მარშრუტი: ლენინგრადი—კილი—ლენინგრადი.

კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება.

საგზურის ღირებულება კაიუტების კატეგორიების მიხედვით 4500-დან 6500 მანეთამდეა. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები მთელი მოგზაურობის განმავლობაში. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მანქანების ყიდვისა.

ჯგუფები კომპლექტდება 20, 27 სექტემბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: **თბილისი, შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქ. №8. (სასტუმრო საქართველოსთან).** მიღების საათები: 11-18-მდე. დასვენების დღე კვირა.

**ტელ: 23-15-58.**

### განცხადება

მიმდინარეობს მიღება ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 12 სახლმართველობასთან არსებულ მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე (კურსდამთავრებულები მიიღებენ მძღოლის საერთაშორისო მოწმობას).

პირველ რიგში ჩაირიცხებიან და შემცირებულ გადასახადს გადაიხდიან ის პირები, რომლებმაც იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა.

საბუთების შემოტანა და განმარტებისათვის ტელეფონზე დარეკვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მიკრო რაიონი, კორპუსი 74-ა.**

**ტელეფონი: 68-39-30.**

ფირმა „პრიზმა“ გთავაზობთ კომფორტაბელური ავტობუსებით გადაყვანას **თურქეთში, ტრაპიზონსა და სტამბოლში** მათთვის, ვისაც გააჩნიათ კერძო მოწვევები თურქეთის რესპუბლიკიდან.

ჩვენი მომსახურეობის ხარისხი ბევრად მაღალია, თუმცა ფასი, სხვებთან შედარებით ბევრად ნაკლები, მისადგომად ხელსაყრელ, მოხერხებულ ადგილზე მდებარეობს.

**მისამართი: გამსახურდიას გამზირი №3/7.**

**ტელეფონი: 36-77-72.**

ვმუშაობთ ყოველდღე 11:00 საათიდან 18:00 საათამდე.

დასვენების დღე — ორშაბათი.

### მანდილოსანთა საყურადღებოდ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დიაგნოსცირება შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიზოდის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნული ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას და ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: **ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება. კოოპერატივი „დასტაქარი“**

სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე, დასვენების დღე კვირა.

ტელ. 39-57-63.

## ყურადღება

ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“ დაგეგმილი აქვს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მუდმივი წარმომადგენლობის გახსნა. ნებისმიერ კოოპერატივს ან მოქალაქეს რომელსაც აქვს ბინა ან სხვა რაიმე ფართი ტელეფონით ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, თელავში და სხვა ქალაქებში შეუძლიათ გახდნენ საბართველოს ერთ-ერთი წამყვანი სარეკლამო სააგენტოს წარმომადგენლები.

ამისათვის საჭიროა: ამა წლის 10 სექტემბბრამდე ფირმის სახელზე წარმოადგინონ: განცხადება (მუდმივი წარმომადგენლობის გახსნის სურვილის თაობაზე), კერძო პირთათვის — ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან ტელეფონის ნომრის მითითებით; იურიდიულ პირთათვის — ცნობა იმის თაობაზე, რომ მას გააჩნია იურიდიული მისამართი და ტელეფონის ნომერი.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად დარეკეთ: 37-58-25 ან მობრძანდით მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1

დასაშვებია ერთ ქალაქში რამდენიმე წარმომადგენლობის გახსნა.

ფირმა „არგო“-ს დირექცია.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი მოედნის დირექციასთან გაიხსნა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე მოქმედი ფირმების "WESTEKS" და "KORONA BLAKS"-ის ფილიალი, საზღვარგარეთ სამუშაო დასაქმების ბიურო.

ბიუროს გააჩნია:

1. 67 კაპიტალისტურ ქვეყანაში 1000-ზე მეტი ფირმისა და სამუშაო ბირჟის მისამართი როგორც სეზონური სამუშაოებისა, ასევე ხანგრძლივი კონტაქტები 2-5 წლით მრავალი სპეციალობის მიხედვით.

2. 25 კაპიტალისტურ ქვეყანაში ანკეტის კომპიუტერულ მეხსიერებაში შესვლის საშუალება.

დადებითი პასუხის შემთხვევაში ბიუროს გააჩნია საშუალება დაეხმაროს მომხმარებელს საზღვარგარეთის პასპორტის, საელჩოს ცნობისა და ბილეთის ბრონის მიღებაში.

**მისამართი: რუსთაველის 37.**

**ტელეფონი: 98-92-19.**

იყიდება ჩეხური სამზარეულო „ნატაშა“

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ 17-დან 21-მდე შემდეგ ტელეფონზე: 35-45-30

იყიდება საძინებელი ოთახის ავეჯი. ტელეფონი: 95-65-43

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა პოპხია

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.